# ბავშვთა დაცვის ხარისხიანი სისტემების შექმნის წლიური გეგმა
## 2015

| | |
|---|---|
| პოლიტიკური და სტრატეგიული ჩარჩო/ პრიორიტეტები: | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018; ბავშვზე ზრუნვის სამოქმედო გეგმა 2012-2015; შშმ პირთა სოციალური ინტეგრირების სამოქმედო გეგმა. |
| UNDAF-ის შედეგ(ებ)ი: | დაუცველ ჯგუფებს უკეთ მიუწვდებათ ხელი ხარისხიან ჯანდაცვაზე, განათლებაზე, იურიდიულ დახმარებაზე, მართლმსაჯულებასა და სხვა აუცილებელ სოციალურ მომსახურებებზე.<br>ადამიანის უფლებების უფრო მეტად დაცვა და მხარდაჭერა, მეტი ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და გენდერული თანასწორობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უმცირესობებს, მარგინალიზებულ და დაუცველ ჯგუფებს ექცევა |
| მოსალოდნელი შედეგი / პროგრამის კომპონენტის შედეგი: | 1. 2015 წლის ბოლოსთვის უფრო მეტი ბავშვი და დედა მიიღებს სარგებელს ხარისხიანი საბაზისო და ალტერნატიული სოციალური მომსახურებებისგან (ინტეგრირებული და დეცენტრალიზებული მომსახურებების ჩათვლით), რომლებიც მიმართულია უთანასწორობის აღმოფხვრისკენ. |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი: | 1.3. 2015 წლისთვის, მთავრობა აძლიერებს ინსტიტუციონალიზების პრევენციას და განამტკიცებს სოციალური სამუშაოს საპასუხო მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს ბავშვების დაცვა ძალადობისგან, უგულვებელყოფისგან, ექსპლუატაციისა და ოჯახის მზრუნველობის დაკარგვისგან. |
| პასუხისმგებელი პარტნიორი სამთავრობო უწყება: | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, ადამიანით ვაჭრობის (მსხვერპლთა), დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, უზენაესი სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი, ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. |
| სხვა პარტნიორ(ებ)ი: | სახალხო დამცველის აპარატი, „გადავარჩინოთ ბავშვები“, „საქართველოს ბავშვები“, „პირველი ნაბიჯი – საქართველო“, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“, არასამთავრობო ორგანიზაცია “პარტნიორობა ბავშვებისთვის”, არასამთავრობო ორგანიზაცია “SOS ბავშვთა სოფლები”, “საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი”, საქველმოქმედო ფონდი “საქართველოს კარიტასი”, “World Vision International-ის” ფილიალი საქართველოში, “ბავშვი და გარემო”, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემია. |

## სამუშაო გეგმის აღწერილობა

ბავშვთა კეთილდღეობის და ბავშვებისთვის მართლმსაჯულების კომპონენტი დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას თავისი ვალდებულებების შესრულებაში, რაც აღებული აქვს „ბავშვის უფლებათა კონვენციის" საფუძველზე.

მართლმსაჯულების სფეროში საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის პროცესში გაეროს ბავშვთა ფონდი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ეროვნული სტრატეგიითა" და "სამოქმედო გეგმით" ხელმძღვანელობს. 2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდი ხელს შეუწყობს ქვეყანას არსებული კანონმდებლობის გადასინჯვაში, მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალთა შემდგომ სპეციალიზაციაში, გარე და შიდა მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებაში და მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებზე მორგებული გარემოს კონცეფციის შემუშავებაში; იგი აგრეთვე მიზნობრივ დახმარებას აღმოუჩენს ქვეყანას თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებების გაძლიერების საქმეში. ამასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშგების მექანიზმების ჩამოყალიბებას და კავშირების შექმნას მართლმსაჯულების სისტემას, პრევენციის მექანიზმებსა და სოციალურ სამუშაოებს შორის.

ბავშვთა კეთილდღეობის სექტორში მთავრობასთან მომავალი ორი წლის მანძილზე თანამშრომლობის პროცესში, გაეროს ბავშვთა ფონდი დაეყრდნობა "ბავშვზე ზრუნვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმას", რომელიც შემუშავებული იყო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით. მომდევნო ორი წლის განმავლობაში რეფორმის მთავარი ელემენტები მოიცავს სოციალურ სამუშაოსა და მასზე ზედამხედველობის გაძლიერებას, მომსახურების მიმწოდებლებზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაძლებლობის გაძლიერებას, პრევენციული მომსახურებების გაფართოებას; სავალდებულო რეფერალური პროცედურების ეფექტურობის ამაღლებას ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით; შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებთან და ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადასინჯვა; დახმარების გაწევა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებაში, განსაკუთრებით შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებთან მიმართებაში. გაეროს ბავშვთა ფონდი განსაკუთრებულ ძალისხმევას დაუთმობს მთავრობის მხარდაჭერას განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვებისათვის, მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის, ახალი სერვისების შექმნაში. ბავშვთა კეთილდღეობის და მართლმსაჯულების კომპონენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზით გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისი მიზანმიმართულად ეცდება მოახდინოს სამუშაოს ჰარმონიზება საქართველოს ბავშვებისთვის ეფექტური შედეგების მიღების მიზნით.

| | |
|---|---|
| სამუშაო გეგმის პერიოდი: 1 იანვარი – 31 დეკემბერი, 2015<br><br>WP კოდი (WP No): 0227-Y-I-001-003.<br><br>დაამტკიცა: **ზაზა სოფრომაძე**<br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე<br><br>დაამტკიცა: **თეა წულუკიანი**<br>საქართველოს იუსტიციის მინისტრი<br><br>დაამტკიცა: **გიორგი მღებრიშვილი**<br>საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი<br><br>დაამტკიცა: **დიანა ფუერიჩი**<br>წარმომადგენლის მოადგილე/მოვალეობის შემსრულებელი<br>გაეროს ბავშვთა ფონდი | სავარაუდო ბიუჯეტი: 699,579<br><br>**გამოყოფილი რესურსები:**<br>○ **მთავრობა:** **0**<br>○ UNICEF-ის რეგულარული რესურსები: 45,000<br>○ **სხვა რესურსები:** **495,080**<br>– ბავშვთა დაცვის გლობალური თემატიკა: 13,501<br>– ევროკავშირი (ქუჩის ბავშვები): 48,028<br>– ევროკავშირი (JJ): 48,551<br>– ევროკავშირი (C4J): 225,000<br>– ევროკავშირი (HR): 160,000<br>○ **დაუფინანსებელი ბიუჯეტი:** **159,499**<br><br>*შენიშვნა: ყველა თანხა მოცემულია აშშ დოლარში* |

# ბავშვთა დაცვის ხარისხიანი სისტემების შექმნის წლიური გეგმა 2015

**შედეგი და აღწერილობა:** 2015 წლისთვის, მთავრობას გაძლიერებული აქვს ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია და სოციალური სამსახურის საპასუხო მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას დაუცველი ბავშვების დაცვა შეურაცხყოფისგან, ძალადობისგან, ექსპლუატაციისა და ოჯახის მზრუნველობის დაკარგვისგან

**ინდიკატორები (CPAP, 2011-2015):**

**ინდიკატორი:** ინსტიტუციონალიზების რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვების რაოდენობის თანაფარდობა იმ ბავშვების რაოდენობასთან, რომლებიც ალტერნატიულ მომსახურებებს იღებენ.

**საბაზისო მონაცემები:** ამჟამინდელი თანაფარდობა: 70% განთავსებულია დაწესებულებებში, 30% კი ალტერნატიული მომსახურების მიმღები

**ინდიკატორი:** კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა %, რომლებიც არასადამსჯელო ზრუნვასა და პრევენციულ სამსახურებში არიან გადამისამართებულები.

**საბაზისო მონაცემები:** 0%

**გენდერული თანასწორობს მარკერი:** მნიშვნელოვანი

**ჰუმანიტარული მარკერი:** ნულოვანი

**ორგანიზაციის მიზანი:** 401 – ბავშვთა დაცვის ეროვნული სისტემების გაძლიერება

| დაგეგმილი ღონისძიებები | გრაფიკი (თვეების მიხედვით) | | | | განმახორციელებელი პარტნიორ(ები) | ბიუჯეტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1-3 | 4-6 | 7-9 | 10-12 | | დაფინანსებული (RR/GS) | დაფინანსებული (ORR/ORE) | დაუფინანსებელი |
| **1. ბავშვთა უფლებები** | | | | | | | | |
| **აქტივობა 1.1.:** ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირების ადვოკატირება "მრგვალი მაგიდის გარშემო" შეხვედრების ორგანიზებისა და ინდივიდუალური | X | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, | 5,000 | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კონსულტაციების გზით. | | | | | პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები | | | |
| **აქტივობა 1.2.:** სახალხო დამცველის აპარატის მიერ ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობების შემდგომი განვითარება. | X | X | X | X | სახალხო დამცველის აპარატი/ბავშვთა დაცვის ცენტრი | | 5,501 | 24,499 |
| **აქტივობა 1.3.:** ბავშვთა უფლებების დაცვის კოორდინაცის მექანიზმების გაძლიერება/ჩამოყალიბება ტექნიკური დახმარების აღმოჩენის გზით "ბავშვთა უფლებების დაცვის სამუშაო ჯგუფისთვის" (რომელიც შექმნილია ადამანის უფლებათა დაცვის სამინისტროთაშორისი საბჭოს დაქვემდებარებაში – პრემიერ მინისტრის აპარატი) | X | X | X | X | პრემიერ მინისტრის აპარატი | | 5,000 | |
| **2. ბავშვებზე ზრუნვის სისტემის რეფორმა – RKLA 1** | | | | | | | | |
| **აქტივობა 2.1.:** ბავშვთა დაცვის ახალი სამოქმედო გეგმის (2016/2020) შემუშავების ხელშეწყობა ტექნიკური (საკონსულტაციო) დახმარების და მრგვალი მაგიდის გარშემო დისკუსიების გზით. | | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო | | 20,000 | |
| **აქტივობა 2.2.:** ხელშეწყობა და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა "შვილად აყვანისა და მნდობით აღზრდის შესახებ კანონის" გადასინჯვის და საბოლოო სახით ჩამოყალიბების საქმეში და მინდობით აღზრდის სტანდარტების დამტკიცებისა და დანერგვის მიზნით. | X | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტი | | 15,000 | |
| **აქტივობა 2.3.:** საკანონმდებლო პაკეტის შემუშავების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით ამჟამად არსებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. | X | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტი, იურიდიული საკითხების კომტეტი | | | 5,000 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივობა 2.4.:** ალტერნატიული მომსახურებების/ზრუნვის ალტერნატიული სისტემის განვითარების ხელშეწყობა, მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ხარისხიანი ზრუნვის უზრუნველსაყოფად. | | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები | | | 100,000 |
| **აქტივობა 2.5.:** შეზღუდული უნარების შეფასების ფუნქციონალური/სოციალური მოდელის შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა. | | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო | | 20,000 | |
| **აქტივობა 2.6.:** "უაღრესად მოწყვლადი ბავშვების" (მაგ.: ქუჩებში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვები) შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისა და აღსრულების ხელშეწყობა. | X | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო | | 10,000 | |
| **აქტივობა 2.7.:** დახმარების გაწევა საქართველოს მთავრობისთვის (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, პრემიერ მნისტრის აპარატი) ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმებში შესწორებების შეტანის საქმეში. | X | X | X | | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, პრემიერ მინისტრის აპარატი | | | |
| **აქტივობა 2.8.:** სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა სოციალური აგენტების ტრენინგის გზით ბავშვთა შეფასების/რეფერირების ფორმების შემოღებასა და დანერგვაში. | X | X | X | | სოციალური მომსახურების სააგენტო | | 10,000 | |
| **აქტივობა 2.9.:** სხვადასხვა სპეციალისტების (სოციალური მუშაკების, მასწავლებლებს და ა.შ.) კვალიფიკაციის ამაღლება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაციის, რეფერირების და დაცვის სფეროში ტრენინგის გზით. | | | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, განათლებსა და მეცნიერების სამინისტრო | | 15,000 | |
| **აქტივობა 2.10.:** დახმარების გაწევა რეგისტრაციის მობილური ცენტრების შექმნაში უაღრესად მოწყვლადი ბავშვების (მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების) | | | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, | | 15,000 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იდენტიფიკაციისა და რეგისტრაცის მიზნით (კონცეფტუალური ჩარჩოს და საოპერაციო ინსტრუქციების შემუშავება). | | | | | არასამთავრობო ორგანიზაციები | | | |
| **აქტივობა 2.11.:** ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის სერვისების შემუშავება (დღის ცენტრები და კრიზისული ცენტრები თბილისსა და ქუთაისში) | X | | | | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, "World Vision International"–ის ფილიალი საქართველოში | | 36,028 | |
| **აქტივობა 2.12.:** სოციალური მუშაობის ხარისხზე პროფესიული ზედამხედველობის და სოციალური მომსახურების მონიტორინგის სისტემების შემდგომი დახვეწა სოციალური მომსახურებს სააგენტოს სოციალური მუშაკების ტრენინგის გზით. | X | X | | | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურებს სააგენტო | | 12,000<br>8,000 | |
| **აქტივობა 2.13.:** შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა "სოციალური ინფორმაციის მართვის სისტემის" (SIMS) გაუმჯობესების მიზნით, და სოციალური მუშაკებისათვის ტექნიკური დახმარება SIMS ინსტრუმენტებს გამოყენების უნარებს განვითარების მიზნით. | | X | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო | | 50,000 | |
| **აქტივობა 2.14.:** კვლევის ჩატარება საქართველოში რეგულირების მიღმა დარჩენილი "ბავშვებზე მზრუნველობის დაწესებულებების" შესახებ, მტკიცებულებებზე დაყრდნობით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით. | | | X | X | შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი კონსულტანტები | 30,000 | | 30,000 |
| 3. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის – RKLA 2 | | | | | | | | |
| **აქტივობა 3.1.:** დახმარების გაწევა კანონმდებლობის გადასინჯვის პროცესში: ბავშვებთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის სფეროში, კანონქვემდებარე აქტების გადასინჯვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნების | X | X | X | X | იუსტიციის სამინისტრო | | 20,000 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შესაბამისად, ტექნიკური დახმარებისა და "მრგვალი მაგიდის გარშემო" შეხვედრების ფასილიტაციის გზით. | | | | | | | | |
| **აქტივობა 3.2.:** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მომსახურების სტანდარტების მიღების და დანერგვის ხელშეწყობა. | | | X | X | პრემიერ მინისტრის აპარატი, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, განათლებსა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | | **5,000** | |
| **აქტივობა 3.3.:** მართლმსაჯულების სისტემის სპეციალიზაციის ხელშეწყობა, მათ შორის ბავშვთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა დაცვის პროფესიონალთა კვალიფიკაციის განვითარება ტრენინგის გზით (ტრენინგის მოდულების შემუშავება და ა.შ.) და შესაბამისი შიდა რეგულაციების დამტკიცება (სამუშაო აღწერილობები, სახელმძღვანელო ინსტრუქციები და ა.შ.). | X | X | X | X | იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, სასამართლო, იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სასჯელაღსრულების, და პრობაციის სამინისტრო | | **100,000** | |
| **აქტივობა 3.4.:** სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების ხელშეწყობა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვზე ორიენტირებული გარემოს კონცეფციის შემუშავების მიზნით (ინფრასტრუქტურასთან, ტექნიკურ მოწყობილობასა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით). | X | X | X | X | იუსტიციის სამინისტრო | | **30,000** | |
| **აქტივობა 3.5.:** განრიდების და მედიაციის პროგრამების გაძლიერება შემთხვევების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვის და განრიდების სპეციალისტების ტრენინგის მეშვეობით (სოციალური მუშაკების, პროკურორების, მედიატორების და პრობაციის ოფიცრების ტრენინგის ჩათვლით). | X | X | X | X | იუსტიციის სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | | **20,000**<br>**12,000** | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივობა 3.6.:** ინდივიდუალური შეფასების მექანიზმების შემუშავება დანერგვა სასამართლოს დონეზე – (კონცეფციის, მეთოდოლოგიის, სახელმძღვანელო ინსტრუქციების და ინსტრუმენტის საბოლოო სახით შემუშავება და ტრენინგი) | X | X | | | იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სასამართლო. | | 15,102 | |
| **აქტივობა 3.7.:** პირობითი ვადამდე განთავისუფლების საბჭოს დებულების, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დებულების მიღების მხარდაჭერა. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუმენტებში ცვლილებების შეტანა. ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში, კვალიფიკაციის ამაღლებით, ტექნიკური დახმარების გაწევით და "მრგვალი მაგიდის გარშემო" დისკუსიების ორგანიზების გზით. | X | X | | | სასჯელაღრსულების და პრობაციის სამინისტრო | | 21,449 | |
| **აქტივობა 3.8.:** დახმარების გაწევა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სისტემისთვის ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზის შექმნაში. | X | X | X | X | იუსტიციის სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო | | 20,000 | |
| **აქტივობა 3.9.:** მომსახურების ხარისხზე და ბავშვთა უფლებების დაცვაზე შიდა მონიტორინგის სისტემების გაძლიერება შესაბამისი მიდგომების დანერგვის გზით (ბავშვთა უფლებების დაცვის კომპონენტის გაძლიერება და თანამშრომლობა შიდა მონიტორინგზე პასუხისმგებელ სხვადასხვა ორგანოებს შორის) და შესაბამისი ინსტრუმენტებისა და პროცედურების შემუშავების ინიცირება. | X | X | X | X | იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პრობაციის სამინისტრო | | 30,000 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინიცირება. | | | | | | | | |
| **აქტივობა 3.10.:** დახმარების გაწევა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის მისაღებად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სფეროში დარგთაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და მრავალდარგობრივი პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება ტექნიკური დახმარების გზით. | X | X | | | იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სმინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის . საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა. | **10,000** | | |